

მუხლი 799. ცნება

1. დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.

2. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

- I. ზოგადი დებულებები 1
 - 1. მუხლში მოცემული ნორმების მიზანი და რეგულირების საგანი 1
 - 2. მოკლე ისტორია 2
 - 3. ინსტიტუტის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 2
 - 4. დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები 3
- II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტი 4
 - 1. დაზღვევის ცნება და მისი შემადგენელი ელემენტები 4
 - ა. სადაზღვევო შემთხვევა 6
 - ბ. სადაზღვევო რისკი 6
 - გ. სადაზღვევო თანხა 7
 - დ. ფრანშიზა 9
 - ე. დაზღვევის ობიექტი 9
 - 2. დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილენი 9
- III. გამოყენების წინაპირობები 10
- IV. ნორმების დატვირთვა საპროცესო სამართალში და მტკიცების ტვირთი 12
- V. ხელშეკრულების განმარტება 13
 - 1. დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა 13
 - 2. *Contra proferentem* პრინციპის გამოყენება 14
 - 3. კეთილსინდისიერების პრინციპი 14
 - 4. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენება 15
 - ა. სადაზღვევო ინტერესის არსი 15
 - ბ. საკანონმდებლო მოწესრიგება 17
 - გ. შემადგენლობა 17
 - დ. მზღვეველის კეთილსინდისიერება 18
 - ე. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი შედეგები 18
 - 5. ვეროპის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლის პრინციპების გამოყენება დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას 20
- VI. დაზღვევის სახეები და ფორმები 20
- VII. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები 20

I. ზოგადი დებულებები

1. მუხლში მოცემული ნორმების მიზანი და რეგულირების საგანი

დაზღვევის შინაარსის განსაზღვრა მისი სამართლებრივი და ეკონომიკური საწყისების გამიჯვნას მოითხოვს. სამართლებრივი თვალსაზრისით, დაზღვევა „სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან

გარანტიად“ განიხილება,¹ რამდენადაც ის „შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.“²

- 2 სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებული ნორმებით (799-858) კანონმდებელი დამზღვევსა და მზღვეველს შორის წარმომოხილი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით 799-ე, როგორც ცენტრალური ნორმა, დაზღვევის ხელშეკრულების არსსა და მხარეთა უფლება-მოვალეობების ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს.

2. მოკლე ისტორია

- 3 ისტორიულად დაზღვევის დანიშნულებას დამდგარი ზიანის შედეგად *status quo*-ს აღდგენა წარმოადგენდა.³ დაზღვევა თანამედროვე სამართლებრივ წესრიგშიც ზიანის ანაზღაურების ფუნქციას ასრულებს. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშველოვანია, რამდენადაც ამ უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე ეყრება საფუძველი დაზღვევის კლასიკურ დოქტრინებს.

3. ინსტიტუტის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

- 4 იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება დაზღვევის პირობით (ალეატორულ)⁴ გარიგებებთან მსგავსების შესახებ.⁵ სკ-ს 90-ს მიხედვით, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა — ამ მოვლენის დადგომისთანავე. გარიგების შესრულების გადადების ელემენტის შემცველობით დაზღვევის ხელშეკრულება მსგავსებას ავლენს პირობით გარიგებასთან. მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში ეკისრება. დაზღვევის ხელშეკრულებაში მზღვეველის ვალდებულება ცალსახად წარმოადგენს ძირითად, ხელშეკრულების არსის განმსაზღვრელ ვალდებულებას. თუმცა, მისი შინაარსი მხოლოდ

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის N ას-663-624-2011 განჩინება.

² იქვე.

³ დაზღვევის უძველესი მაგალითები ერთმანეთისგან განსხვავებულ და სამართლებრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვან შეთანხმებებს წარმოადგენდნენ. მაგრამ არსებითია, რომ ყოველი მათგანი შეიცავდა შეთანხმებას რისკის განაწილების შესახებ; *Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, 2007, p. 15-16.*

⁴ სიტყვა „ალეატორული“ ფრანგულიდან მომდინარეობს „alea“ და კამათლის სროლას ნიშნავს; იხ. *Garner (Editor), Black's Law Dictionary, Eight Edition, Thomson West, 2004, p. 342.*

⁵ იურიდიულ ლიტერატურაში ოდითგანვე მიუთითებდნენ დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორული ბუნების შესახებ. დაზღვევის ხელშეკრულება ხშირ შემთხვევაში პირობით ხელშეკრულებად განიხილებოდა. *Emerigon, A Treatise on Insurances, Translated by Samuel Meredith, 1850, p. 11.* მისი პირობითობა, არსებული მოსაზრებით, მზღვეველის ანაზღაურების ვალდებულების პირობით ხასიათში გამოიხატებოდა. მზღვეველის ვალდებულება — გადაიხადოს ანაზღაურება დამზღვევის სასარგებლოდ - დგება მხოლოდ სადაზღვევო რისკის რეალიზაციისა და დამზღვევისათვის ზიანის გამოწვევის შესაბამისად. სწორედ აღნიშნულის გამო, დაზღვევის პოლისი პირობით ხელშეკრულებად მიიჩნეოდა. ამასთან, საყოველთაოდ იყო გაზიარებული აზრი იმის შესახებ, რომ მზღვეველის ვალდებულების დადგომის პირობითობა გავლენას არ ახდენდა ხელშეკრულების იურიდიულ ბუნებაზე, მის სამართლებრივად მავალდებულებელ ხასიათზე. მზღვეველს არ ჰქონდა უფლება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უარი ეთქვა აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე. იქვე, 12.

აღნიშნული ვალდებულებით არ ამოიწურება. დაზღვევის ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია დამზღვევის მხრიდან პრემიის გადახდის, ინფორმაციის მიწოდებისა და სხვა ტიპის ვალდებულებები.

რაც შეეხება 90-თი დადგენილ მეორე ელემენტს — *გარიგების შეწყვეტას* — სადაზღვევო შემთხვევის დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი და დასასრული, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული სადაზღვევო რისკის რეალიზაციასთან. შესაძლებელია **სადაზღვევო პერიოდი** სადაზღვევო რისკის რეალიზაციის გარეშე ამოიწუროს.⁶ საბოლოოდ, პირობითი გარიგებისგან განსხვავებით, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება არ არის დამოკიდებული **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომაზე. **სადაზღვევო რისკის** რეალიზაცია მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა და არა დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანი.

პირობითი გარიგებებისგან დაზღვევის გამიჯვნისას ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად **სადაზღვევო ინტერესი** განიხილება. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის არსებობა გამორიცხავს მის მიკუთვნებას ალელატორული გარიგებებისადმი.⁷

4. დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები

დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა გზით მიიღწევა. ერთი მხრივ, სკ ითვალისწინებს დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგებას, ხოლო, მეორე მხრივ, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი მოწოდებულია სადაზღვევო საქმიანობის რეგულირებისკენ.

სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის ხელშეკრულებას ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში აწესრიგებს. დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები შემდეგნაირადაა განაწილებული: I. ზოგადი დებულებანი, II. სადაზღვევო შესატანი, III. ზიანის დაზღვევა, IV. სიცოცხლის დაზღვევა, V. უბედური შემთხვევის დაზღვევა. სისტემური სიზუსტის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო შესატანის მარეგულირებელი ნორმები თავიანთი არსით ზოგად დებულებებს მიეკუთვნება და მათი ცალკე გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობს. ამიტომ, სასურველი იქნებოდა 815-819-ე მუხლები ზოგადი დებულებების ნაწილში გაერთიანებულიყო.

⁶ ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 799, გვ. 108.

⁷ ალელატორული ხელშეკრულებების Black's Law-სეულ განმარტებაში დაზღვევაც ფიგურირებს. Garner (Editor), Black's Law Dictionary, Eight Edition, Thomson West, 2004, p. 342. თუმცა, იქვე სადაზღვევო ინტერესის შემცველობით დაზღვევა მკვეთრად ემიჯნება ალელატორულ ხელშეკრულებებს (მინიშნებაა თამაშობასა და სანამდლოზე). იქვე, 829.

- 9 სამოქალაქო კოდექსთან ერთად დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება ცალკეული სპეციალური კანონის მეშვეობით მიიღწევა. „დაზღვევის შესახებ“ კანონის რეგულირების სფერო გაცილებით უფრო ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგლამენტაციით. კანონი ადგენს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს.
- 10 თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დაზღვევის სახეები განსხვავდება დაზღვევის კანონით გათვალისწინებული კლასიფიკაციისგან, რაც ცნებათა ერთიანი სისტემის დანერგვას აფერხებს. ტერმინოლოგიური სიცხადის თვალსაზრისით, სასურველია, სამოქალაქო კოდექსსა და დაზღვევის კანონში გათვალისწინებული დაზღვევის სახეები ერთმანეთს შეესაბამოს.

II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტი

1. დაზღვევის ცნება და მისი შემადგენელი ელემენტები

- 11 799-ე აყალიბებს დაზღვევის ხელშეკრულების ცნებას და მხარეთა ურთიერთშემხვედრი ვალდებულებების შინაარსს განსაზღვრავს. კერძოდ, დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. თავის მხრივ, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.
- 12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.“⁸
- 13 დაზღვევის ხელშეკრულება **ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი** ხელშეკრულებაა.
- 14 დაზღვევის ხელშეკრულების **სინალაგმატური** ბუნება მხარეებისთვის ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობების დაკისრებით გამოიხატება. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს **სადაზღვევო პრემიის** გადახდა და ვალდებულია, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი. თავის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია.
- 15 აღნიშნული უფლება-მოვალეობებით განისაზღვრება, მაგრამ არ ამოიწურება დაზღვევის ხელშეკრულების არსი. მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვა ტიპის ვალდებულებებსაც მოიცავს. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დამზღვევის მხრიდან

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის N ას-663-624-2011 განჩინება.

მზღვეველისათვის **სადაზღვევო პერიოდის** ცალკეულ ეტაპზე დაზღვევის ობიექტის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება (იხ. 808, 812, 814).

დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას 16 ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის ეტაპები. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს არა მხარეთა შეთანხმებისთანავე, არამედ მხოლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ.⁹ ქართული სასამართლო პრაქტიკაც¹⁰ დაზღვევის ხელშეკრულებას რეალურ ხელშეკრულებად მიიჩნევს.¹¹ ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს 816-ში გათვალისწინებული რეგულირება ქმნის. თუმცა, 816-ს განმარტებისას მნიშვნელოვანია 806 I-ის მხედველობაში მიღება. ნორმათა კონკურენციის პირობებში, საბოლოოდ, უპირატესობა 806 I-ს უნდა მიენიჭოს, რის გამოც დაზღვევა *კონსენსუალურ* ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს (იხ. 806-ე მუხლის კომენტ.).

მაგალითად: ა-მ გააფორმა სადაზღვევო კომპანია ბ-სთან მის საკუთრებაში 17 არსებული ავტომობილის დაზღვევის ხელშეკრულება 2013 წლის 10 ივლისს, 16:00 საათზე. ა-მ ხელშეკრულების დადებისთანავე გადაიხადა პირველი სადაზღვევო პრემია. სადაზღვევო შემთხვევა დადგა 2013 წლის 10 ივლისს 22:00 საათზე. სკ-ს 816-ე მუხლის მიხედვით, მზღვეველის ვალდებულება წარმოიშვა. თუმცა, ამ შემთხვევაში უპირატესია 806 I-ში მოცემული რეგულირების გათვალისწინება, რომელიც მზღვეველის ვალდებულების წარმოშობას 2013 წლის 10 ივლისის ოცდაოთხი საათის დადგომას უკავშირებს. შესაბამისად, მზღვეველის ვალდებულება არ წარმოშობილა და არც დამზღვევის მოთხოვნა არსებობს.

დაზღვევის ხელშეკრულების *სასყიდლიანობა* დამზღვევისათვის **სადაზღვევო** 18 **პრემიის** გადახდის ვალდებულების დაკისრებით გამოიხატება. სადაზღვევო კომპანია, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი, მოგების მიღებაზეა ორიენტირებული (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ. პირველი, მუხ. 455). თუმცა, სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღება მხოლოდ მოგების მიღების მიზნით არ შემოიფარგლება. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს მზღვეველის მიერ გაწეული „**რისკის ტარების**“ ღირებულებას. მეორე მხრივ, სადაზღვევო პრემიების აკუმულაცია სადაზღვევო კომპანიაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.¹²

გასათვალისწინებელია საკასაციო სასამართლოს პოზიცია ერთ-ერთ სადაზღვევო 19 საქმეზე, სადაც მან მიიჩნია, რომ „სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების,

⁹ ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 816, გვ. 137.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის N ას-85-81-2013 განჩინება.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის N ას-663-624-2011 განჩინება.

¹² საქართველოს ეროვნული ბანკის სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე ბრძანება #35/01, საკანონმდებლო მაცნე N 28, 15.03.2010, ნაწილი III.

სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მოთხოვნის უფლების დათმობა ეწინააღმდეგება დაზღვევის შესახებ კანონმდებლობას და, დაზღვევის არსიდან გამომდინარე, დაუშვებელია მოთხოვნის უფლების დათმობა.¹³

- 20 დაზღვევის ცნების ფორმულირებისას მნიშვნელოვანია დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული რეგულირების გათვალისწინება. აღნიშნული მკაფიოდ წარმოაჩენს დაზღვევის მიზანს, რაც ფიზიკური და იურიდიული პირების *პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვით გამოიხატება* (საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 3).

ა. სადაზღვევო შემთხვევა

- 21 „სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს.“¹⁴ მხარეები სადაზღვევო შემთხვევას არსებითი პირობის სახით წინასწარ განსაზღვრავენ ხელშეკრულებაში. სადაზღვევო შემთხვევის მაგალითია ხანძარი, ქურდობა, გადაუდებელი სამედიცინო ჩარევის აუცილებლობა და ა.შ. (დაუძლეველი ძალით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით იხ. 831-ე მუხლის კომენტ.). საკრედიტო ვალდებულების დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს, „რამდენად ინარჩუნებს სადაზღვევო შემთხვევა დამოუკიდებლობას თავად დაზღვეულის ნებისგან.“¹⁵ საგულისხმოა, რომ ეს მოთხოვნა ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ ვრცელდება: სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა არ უნდა ექცეოდეს *მხარეთა გავლენის სფეროში*.

ბ. სადაზღვევო რისკი

- 22 დაზღვევის ხელშეკრულებაში ასევე მნიშვნელოვანია არსებითი პირობის სახით სადაზღვევო რისკის განსაზღვრა.¹⁶ ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო რისკი. მაგალითად: თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო შემთხვევად ხანძარი განისაზღვრა, ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა.

- 23 თავისთავად, რისკი შეიძლება იყოს წინასწარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) ალბათობა უნდა იყოს *განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა გავლენისაგან*. რისკი რომ სადაზღვევოდ ჩაითვალოს (**დაზღვევადი რისკი**), ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. რისკი არ უნდა იყოს იმ ხარისხით **წინასწარ განუჭვრეტელი**, რომ შეუძლებელი გახდეს მისი შეფასება სადაზღვევო კომპანიის

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის N ას-4-381-05 განჩინება.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 განჩინება.

¹⁶ სადაზღვევო რისკის შეფასება სცილდება სამართლებრივი რეგულირების სფეროს და სადაზღვევო კომპანიის შიგნით ანდერრაიტინგის სახით ხორციელდება. სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო რისკი დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს (იხ. 327 I) და ხელშეკრულების დადებისათვის მასზე შეთანხმება სავალდებულოა.

მიერ.¹⁷ დაუზღვეველი რისკის მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებში განიხილება ე.წ. „ექსპერიმენტული მკურნალობა“,¹⁸ რადგან მზღვეველის მიერ შეუძლებელია ასეთი ტიპის მკურნალობის ხარჯების ზუსტი კალკულაციის წინასწარ დადგენა.

გ. სადაზღვევო თანხა

სადაზღვევო თანხა ის ფულადი თანხაა, რომლის ფარგლებშიც ხდება დაზღვევის ობიექტის დაზღვევა. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დაზღვევის ობიექტის ეკონომიკური ღირებულების მიხედვით. სადაზღვევო თანხა განსხვავდება **სადაზღვევო ანაზღაურებისგან**,¹⁹ რომელსაც დამზღვევი ზიანის ანაზღაურების სახით იღებს მზღვეველისაგან. 24

როგორც წესი, სადაზღვევო ანაზღაურება გამოითვლება დამდგარი ზიანის მიხედვით. თუმცა, სადაზღვევო პრაქტიკაში მისი განსაზღვრის სხვადასხვა წესი არსებობს. სადაზღვევო ურთიერთობაში კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის დაცვა გულისხმობს, რომ დამზღვევს არ უნდა გაუჩნდეს ზიანის ანაზღაურების ხარჯზე მოგების მიღების ინტერესი. ²⁰დაზღვევის ხელშეკრულებისათვის ფუნდამენტური *ანაზღაურების პრინციპის* მიხედვით, დაზღვევის არსი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით განისაზღვრება. აღნიშნული ერთგვარად უსაფუძლო გამდიდრების პრევენციის მიზანსაც ემსახურება. შესაბამისად, შესაძლებელია, სადაზღვევო საზღაური ნაკლები იყოს დამდგარი ზიანის ოდენობაზე, მაგრამ *დაუშვებელია, რომ ის აღემატებოდეს მას*.²¹ ამიტომაც, აღნიშნული მოთხოვნის დაცვისას გადამწყვეტია დაზღვევის ობიექტის ეკონომიკური ღირებულება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები დაზღვევის სახე. მაგალითად, თუ მსუბუქი ავტომობილი შეფასებულია 15.000 ლარად, არაგონივრული იქნება მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხად 50.000 ლარის გათვალისწინება, რადგან ავტომობილის განადგურების შემთხვევაში დამზღვევის მიერ გაცემული სრული ზიანი 15.000 ლარს შეადგენს. თუკი სადაზღვევო თანხად 50.000 ლარზე შეთანხმების შესაძლებლობა დაიშვება, დამზღვევს გაუჩნდება არაკეთილსინდისიერი ქმედების ხარჯზე უკანონო მოგების მიღების განზრახვა დამატებითი 35.000 ლარის სახით. 25

¹⁷ *Garner* (Editor), *Black's Law Dictionary*, Eighth Edition, Thomson West, 2004, p. 1353.

¹⁸ *Jerry/Richmond*, *Understanding Insurance Law*, 2007, p. 499.

¹⁹ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლების განსაზღვრისას ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საინტერესო საკითხი დაისვა აღნიშნულის უფლების სამკვიდრო ქონების ნაწილად ცნობის შესახებ. საქალაქო სასამართლომ მისი მსჯელობა დაამყარა სკ-ს 1328-ე მუხლზე და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების ნაწილად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ კი არ გაიზიარა სამოქალაქო პალატის მსჯელობა და დაეყრდნო სკ-ს 349-ე მუხლს. მისი მოსაზრებით, რადგან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში მოსარგებლედ მითითებული იყო გარდაცვლილის მეუღლე, სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა სწორედ მას და არა სხვა დანარჩენ მემკვიდრეებს. ასეთი მსჯელობა სააპელაციო სასამართლომ დააფუძნა სკ-ს 349-350 მუხლებზე და მოცემული ხელშეკრულება შესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად დააკვალიფიცირა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის N ას-718-673-2010 განჩინება.

²⁰ *Emerigon*, *A Treatise on Insurances*, Translated by Samuel Meredith, 1850, p. 13.

²¹ *Jerry/Richmond*, *Understanding Insurance Law*, 2007, p. 277.

პირადი დაზღვევის დროს, ქონების დაზღვევისაგან განსხვავებით, მხარეები არ არიან შეზღუდულნი სადაზღვევო თანხის მოცულობის განსაზღვრაში. თუმცა, აქაც განმსაზღვრელია ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება. თეორიულად, სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში დამზღვევეს სადაზღვევო თანხად შეუძლია დაასახელოს 15.000 ლარიც და 1.500.000 ლარიც. მაგრამ მზღვეველის მიერ თანხმობის გამოსათქმელად აუცილებელია ანაზღაურების პრინციპის გათვალისწინება. სიცოცხლის დაზღვევის მიზანია მოსარგებლებებისთვის დამზღვევის გარდაცვალებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, თუ დამზღვევის შრომის ანაზღაურება ადგილობრივი ბაზრის პირობებში განიხილება, როგორც საშუალო, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო თანხად შეუსაბამოდ დიდი, მოცემულ მაგალითში 1.500.000 ლარის გათვალისწინებაზე.

- 26 ანაზღაურების პრინციპიდან არსებობს გამონაკლისებიც. ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია 799 I-ის მეორე წინადადებაში. კერძოდ, მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელი საშუალებას აძლევს მხარეებს, ზიანის ოდენობისგან დამოუკიდებლად განსაზღვრონ ანაზღაურების ოდენობა. ასეთ შემთხვევებში შეიძლება, რომ ანაზღაურება აღემატებოდეს კიდევ ზიანის ოდენობას.
- 27 ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დაზუსტებას მოითხოვს ის გარემოება, რომ მუხლში ტერმინი სადაზღვევო თანხა **სადაზღვევო ანაზღაურების** მნიშვნელობით გამოიყენება. ამიტომაც, ნორმის სიტყვასიტყვით განმარტება მოცემულ შემთხვევაში არაგონივრული იქნებოდა. 799 I-ის მეორე წინადადების მიხედვით, მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა. ცხადია, მზღვეველი იხდის არა სადაზღვევო თანხას, არამედ სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სადაზღვევო თანხა თავისთავად წინასწარ დადგენილ თანხას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ხდება დაზღვევა. მყარად დადგენილი თანხის ქვეშ კანონმდებელი მყარად დადგენილ სადაზღვევო ანაზღაურებას გულისხმობს, როგორც გამონაკლისს ანაზღაურების ზოგადი პრინციპიდან.
- 28 *სხვა შეპირებული მოქმედების* ქვეშ კანონმდებელი ისეთ შეთანხმებებს გულისხმობს, სადაც მზღვეველი დამზღვევისათვის ანაზღაურებისგან ალტერნატიულ მოქმედებას ახორციელებს. ასეთად შეიძლება განიხილებოდეს ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურების გადახდა სამედიცინო დაწესებულებისთვის, ქონების დაზღვევისას ქონების აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში²² და მისთ.

²² ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 799, გვ. 112.

დ. ფრანშიზა

სადაზღვევო პრაქტიკაში დიდი გამოყენება აქვს დათქმას **პირობითი და უპირობო ფრანშიზის** შესახებ. დაზღვევის ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს არაანაზღაურებადი ზიანის ლიმიტი ან ზიანის ანაზღაურება გარკვეულ პირობას დაუკავშირდეს. მაგალითად: უძრავი ქონების დაზღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს:

- ა) მზღვეველი ზიანს აანაზღაურებს 1000 ლარის ზემოთ (უპირობო ფრანშიზა);
- ბ) მზღვეველი ზიანს აანაზღაურებს 1000 ლარის ჩათვლით (პირობითი ფრანშიზა).

ე. დაზღვევის ობიექტი

დაზღვევის ობიექტი ის სამართლებრივი სიკეთეა, რომლის ხელყოფის **პრევენციასაც** დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები ისახავენ მიზნად. დაზღვევის კლასიფიკაციის უმთავრესი კრიტერიუმი სწორედ მისი ობიექტის განსაზღვრაში მდგომარეობს. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი დაზღვევის ობიექტს განმარტავს, როგორც ნებისმიერ ქონებრივ ან პირად არაქონებრივ ინტერესს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას (მუხ. 4 I).

2. დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილენი

დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებია **მზღვეველი** და **დამზღვევი**. ამავდროულად, დაზღვევის ხელშეკრულებას ჰყავს მონაწილენიც,²³ რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების ადრესატებს წარმოადგენენ ან გარკვეულად დაკავშირებულნი არიან მასთან.

დაზღვევის შესახებ კანონის მიხედვით, მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისთვის და რომელსაც, კანონით დადგენილი წესით, მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. ამასთან, კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება (მუხ. 9 I).

კანონი დამზღვევს განმარტავს, როგორც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება (მუხ. 8 I, II).

799-ს მოწესრიგების სფერო დამზღვევისა და მზღვეველის გარდა ვრცელდება სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეებზე, რომელთაც დაზღვეული და მოსარგებლე წარმოადგენენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარგებლის ცნებას

²³ დაზღვევის ურთიერთობის მონაწილეებს წარმოადგენენ ასევე დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი, რომელთა საქმიანობაც სცდება 799-ით გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულების არსს და ცალკე სახელშეკრულებო ურთიერთობებს მიეკუთვნება. იხ. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-12. სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილედ გადამზღვეველიც შეიძლება განვიხილოთ თუ დამზღვევი გადამზღვეველისადმი მოთხოვნის უფლების მქონედ ჩაითვლება (იხ. 801-ე მუხლის კომენტ.).

ითვალისწინებს დაზღვევის შესახებ კანონი და სამოქალაქო კოდექსი ასეთს არ იცნობს დაზღვევის მარეგულირებელი ნორმების ნაწილში.

- 34 დაზღვეული არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მუხ. 10).
- 35 მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას (მუხ. 11 I). მოსარგებლე არის დაზღვეული, თუ მოსარგებლე არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით (მუხ. 11 V).

III. გამოყენების წინაპირობები

- 36 799-ე მოთხოვნის უფლების შემცველი ნორმებისგან შედგება. 799-ე I ადგენს დამზღვევის (სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიღების), ხოლო 799 II კი მზღვეველის (სადაზღვევო პრემიის მიღების) მოთხოვნის უფლებებს.
- 37 პრაქტიკაში პრობლემურია დამზღვევის მოთხოვნის წინაპირობების განსაზღვრა. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე უარის შემთხვევაში სასამართლომ ასეთი უარის ლეგიტიმურობა სწორედ მოთხოვნის წინაპირობების შემოწმების საფუძველზე უნდა განსაზღვროს.
- 38 სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების განხილვისას, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული წინაპირობა კანონმდებელმა 799-ის გარდა დაზღვევის მომწესრიგებელ სხვადასხვა მუხლში გაითვალისწინა. მაგალითად, სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები გათვალისწინებულია შემდეგ მუხლებში: 806 I, 808, 816, 829.
- 39 თავის მხრივ, 799 I-ით გათვალისწინებული წინაპირობების განხილვა მოთხოვნის უფლების შემცველი ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით უნდა დაიწყოს. კერძოდ, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 40 შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უმთავრესი წინაპირობებია დამზღვევის მიმართ დამდგარი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი სადაზღვევო შემთხვევასა და დამდგარ ზიანს შორის.
- 41 დამზღვევის ზიანის დასადგენად მოსამართლემ არაერთი გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია დაზღვევის სახე. მაგალითად, ქონების დაზღვევისას მიიჩნევა, რომ თუ დამზღვევს არ გააჩნია ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ, ის არ განიცდის ზიანს. ასეთი

მსჯელობით, თუ ზიანი არ არსებობს, როგორც ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა, არ არსებობს არც ანაზღაურების მოთხოვნა.²⁴

სადაზღვევო დავებში ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების დადგენისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სადაზღვევო შემთხვევასა და დამდგარ ზიანს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ზოგადი პრინციპის თანახმად, მხედველობაში მიიღება პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი (Causa proxima) და მიზეზთა მიზეზების დაუსრულებელი მიზეზთა უმართებულოდ მიიჩნევა. მაგალითად, ადამიანის გარდაცვალების პირდაპირი მიზეზი შეიძლება იყოს ავტოსაგზაო შემთხვევა, მაგრამ მისი გარდაცვალების არაპირდაპირ მიზეზად დაბადებაც შეიძლება განიხილებოდეს.²⁵ 42

ხშირად სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია არა ერთი, არამედ რამდენიმე მიზეზის თანაქმედებით. ასეთ დროს მოსამართლემ უნდა დაადგინოს სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ მიზეზთა ჯაჭვი და განსაზღვროს, რომელ მიზეზს მიენიჭოს უპირატესობა. მაგალითად: ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული გადმოვიდა ავტომობილიდან და გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ჩავარდა მდინარეში. დაზღვეული გარდაიცვალა არა დახრჩობის, არამედ წყლისგან მიღებული შოკის შედეგად. მოსამართლემ მიიჩნია, რომ დაზღვეულის გარდაცვალების პირდაპირი მიზეზი იყო ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია მოვლენათა შემდგომი განვითარება. შესაბამისად, თუ მოცემულ მაგალითში მოსამართლის მიერ განსაზღვრული მიზეზი ხელშეწყობის გამონაკლისი პირობების ქვეშ ექცევა, მზღვეველის უარი ანაზღაურებაზე კანონიერად ჩაითვლება.²⁶ 43

პრაქტიკაში შეიძლება პრობლემური იყოს მიზეზთა კონკურენცია, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი ორი მიზეზიდან ერთი ექცევა სადაზღვევო დაფარვის, მეორე კი გამონაკლისი პირობების ქვეშ. მოცემულ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს.²⁷ ასეთ დროს მოსამართლემ სხვადასხვა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს. საბოლოოდ, გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს მის მიერ თავად მიზეზის განმარტება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლემ წყალდიდობა ვულკანის ამოფრქვევის გამოხატულებად მიიჩნია და არა დამოუკიდებელ ხდომილებად. ²⁸ მოცემულ შემთხვევაში მზღვეველს წყალდიდობა გამონაკლისი პირობებშიც რომ ჰქონოდა გათვალისწინებული, მოსამართლისეული განმარტებით, მას მაინც დაეკისრებოდა ანაზღაურების ვალდებულება. 44

ცალკეულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრისას მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს დამზღვევის სამართლებრივ სტატუსზეც. კერძოდ, 45

²⁴ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 278.

²⁵ *Cannar*, Essential Cases in Insurance Law, Cambridge, 1985, p. 16.

²⁶ იქვე, 17.

²⁷ იხ. *Cannar*, Essential Cases in Insurance Law, Cambridge, 1985, p. 17; მდრ. *Squires*, Recent Development: Autopsy of a Plain English Insurance Contract: Can Plain English Survive Proximate Cause? 1984, p. 5.

²⁸ იქვე, 3.

როგორც წესი, მეწარმე დამზღვევთან დადებულ ხელშეკრულებაში დაზღვევის გამონაკლისი პირობები ტექნიკური ტერმინების გამოყენების ხარჯზე დეტალურადაა გაწერილი. ასეთ დროს სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების ერთიანი ჯაჭვიდან უმთავრესად მითითება ხდება *უკანასკნელ პირდაპირ* მიზეზზე. არამეწარმე დამზღვევთან დადებული ხელშეკრულების განმარტებისას, მომხმარებლის გამოუცდლობის გათვალისწინებით, მოსამართლემ შეიძლება გადაუხვიოს სადაზღვევო პრაქტიკაში აღიარებულ წესს და ხელშეკრულების განმარტებისას *უკანასკნელი პირდაპირი* მიზეზის წესი არ გამოიყენოს.²⁹

46 წინაპირობების განხილვისას მხედველობაში მიიღება **ფრანშიზის** პირობაც, ხელშეკრულებაში ასეთის არსებობისას. საბოლოოდ, მნიშვნელოვანია, რომელი საფუძვლით ამყარებს მზღვეველი მის უარს ანაზღაურებაზე.

47 799-ე I ასევე მიუთითებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესახებ. ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელი მხარეებს უფლებას ანიჭებს, თავისუფლად განსაზღვრონ დაზღვევის ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმარტებისას, უმნიშვნელოვანესია სადაზღვევო **დაფარვისა და გამონაკლისი პირობების** გათვალისწინება.

სადაზღვევო დავების დიდი ნაწილი სწორედ ამ უკანასკნელი პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებას უკავშირდება. მაგალითად, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მზღვეველი ანაზღაურებს გადაუდებელი *ჰოსპიტალური* მკურნალობის ხარჯებს და დამზღვევის მიერ ჩატარებული მკურნალობა დაკვალიფიცირდება *ამბულატორიულ* მკურნალობად, მზღვეველის უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე მართებულად ჩაითვლება 799 I-ის საფუძველზე.³⁰

IV. ნორმების დატვირთვა საპროცესო სამართალში და მტკიცების ტვირთი

48 დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და დამდგარ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა. მეორე მხრივ, მზღვეველმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა.³¹

49 დაზღვევის შემთხვევაში მხარეთათვის შესაძლებელია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება მეტად ხელსაყრელი და მოსახერხებელი იყოს როგორც დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვის, ისე

²⁹ იქვე, 5.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 6 ივნისის N 3კ/450-01 განჩინება.

³¹ *Cannar*, Essential Cases in Insurance Law, 1985, 19.

სადაზღვევო კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. თუმცადა, სამართლის განვითარებისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობისაა დავების გადაწყვეტა სასამართლოს მიერ, რომელმაც არსებულ დოქტინას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალური განმარტება უნდა მისცეს. მხოლოდ ასე შეიძლება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დაზღვევის პრინციპების პრაქტიკული მნიშვნელობის შეცნობა და მათი გამდიდრება სათანადო ინტერპრეტაციით.³²

V. ხელშეკრულების განმარტება

დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სახელშეკრულებო სამართლის **50** ზოგადი და სპეციალური წესები. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი ურთიერთმფარავი ნების — ოფერტისა და აქცეპტის, გამოვლენა; მხარეების მიერ გავლენილი ნების ნამდვილობა; დაზღვევის ობიექტის კანონიერება;³³ დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსის შესატყვისობა საჯარო წესრიგთან³⁴ და მისთ. ამასთანავე, დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს ე.წ. სპეციალური წესები, რომლებიც სადაზღვევო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა და განვითარდა იურიდიული დოქტრინების სახით.

1. დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა

დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია დამზღვევის **51** სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით, სადაზღვევო პრაქტიკაში ერთმანეთისგან იმიჯნება *კომერციული დაზღვევისა* (Commercial insurance) და *მომხმარებელთან დადებული კონტრაქტები* (Adhesion Contract). განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ისინი სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი მოწესრიგების საგნებს წარმოადგენენ. არაგონივრულია მოსამართლემ ერთგვაროვანი მიდგომა გამოიყენოს ორ განსხვავებულ შემთხვევაში, როდესაც : ერთი მხრივ, დამზღვევს წარმოადგენს მეწარმე და, მეორე მხრივ, „გამოუცდელი“ მომხმარებელი. პირველ შემთხვევაში მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით მიიღწევა ხელშეკრულების პირობების დეტალური განსაზღვრა. არამეწარმე დამზღვევისთვის კი უმთავრესად გამოიყენება სტანდარტული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსის ზუსტი აღქმაც მომხმარებლისთვის ხშირად პრობლემურია. ამიტომაც, არამიზანშეწონილი იქნება არამეწარმე დამზღვევის მიჩნევა ინფორმირებულ და საკუთარი ინტერესის დაცვის უნარის მქონე კონტრაჰენტად.³⁵ კონტრაჰენტების ასეთი არათანაბარი მდგომარეობა ცალკეულ შემთხვევაში გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთის, მიზეზობრივი კავშირისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოების განსაზღვრაზე.³⁶

³² *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 1018.

³³ *Cannar*, Essential Cases in Insurance Law, 1985, p. 1.

³⁴ იქვე, 19-20.

³⁵ *Squires*, Recent Development: Autopsy of a Plain English Insurance Contract: Can Plain English Survive Proximate Cause? 1984, p. 6.

³⁶ იქვე, 7.

52 მეწარმე დამზღვევთან დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავის განხილვისას გამოირიცხება მომხმარებელთა დაცვის მიზნით დადგენილი წესების გამოყენება და, პირიქით, მომხმარებელზე ვერ გავრცელდება მეწარმე კონტრაქტის მიმართ დადგენილი წესები. მაგალითად, სააპელაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე³⁷ დაასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანიას, როგორც „ძლიერ კონტრაქტს“ გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულობა მოეთხოვება, ვიდრე დამზღვევს. ასეთი მსჯელობა სასამართლომ დაამყარა იმ არგუმენტზე, რომ სადაზღვევო კომპანია, „წარმოადგენდა მეწარმე იურიდიულ პირს და სადაზღვევო საქმიანობა მისი საქმიანობის ერთადერთი სფერო იყო.“

2. *Contra proferentem* პრინციპის გამოყენება

53 დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას მოქმედებს სპეციალური პრინციპი — *contra proferentem*, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებები განიმარტება მისი შემდგენის საწინააღმდეგოდ.³⁸ ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიმძიმე აწევთ მზღვეველებს, რადგან სწორედ ისინი ადგენენ ე.წ. „სტანდარტული ხელშეკრულების“ პირობებს და, შესაბამისად, ვალდებული არიან, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ ამ პირობების გარკვევით ჩამოყალიბებას. ხელშეკრულების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პირობების, მაგალითად, დაზღვევის გამონაკლისი პირობების თვალსაზრისით, შესაძლებელია მათი განსხვავებული შრიფტით ან უფრო მუქი ნაბეჭდით გამოკვეთა.³⁹

3. კეთილსინდისიერების პრინციპი

54 დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კეთილსინდისიერების პრინციპი. დაზღვევის ხელშეკრულებას ტრადიციულად მიაკუთვნებდნენ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ხელშეკრულებათა რიცხვს.⁴⁰ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია.⁴¹

55 კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა დაზღვევის ხელშეკრულებაში ხშირად დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებამდე დაიყვანება. აღნიშნული, თავის მხრივ, გარკვეული წინაპირობების არსებობამ განაპირობა. სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა დამზღვევის მხრიდან უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მიენიჭა, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო თავად სადაზღვევო საქმიანობის განვითარებისათვის.⁴² თუმცადა, კეთილსინდისიერების პრინციპი

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის N ას-1643-1540-2012 განჩინება.

³⁸ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 154.

³⁹ *Cannar*, Essential Cases in Insurance Law, 1985, p. 13.

⁴⁰ იქვე, 1.

⁴¹ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 179.

⁴² *Merkin/Rodger*, EC Insurance Law, 1997, p. 29.

ბევრად უფრო ფართო და ყოვლისმომცველია და მისი მნიშვნელობა დაზღვევის ხელშეკრულებაში მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებით არ ამოიწურება.

საგულისხმოა საქართველოს სააპელაციო სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ სადაზღვევო დავაზე, რომლის თანახმადაც, „სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტებს ავალდებულებს იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აშკარა უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.“⁴³ 56

4. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენება

ა. სადაზღვევო ინტერესის არსი

სადაზღვევო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ.⁴⁴ პირადი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი მიმართულია დამზღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო ქონების დაზღვევისას კი - ქონების შენარჩუნებისაკენ.⁴⁵ 57

სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ობიექტისგან. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.⁴⁶ 58

სადაზღვევო პრაქტიკაში სადაზღვევო ინტერესი ემსახურება **მორალური რისკის** შემცირების უმნიშვნელოვანეს მიზანს. მორალური რისკი განიმარტება, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადების შედეგად დამზღვევის მხრიდან დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის შემცირების ან მისი დაკარგვის საფრთხე.⁴⁷ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ერთ-ერთ მიზნად იმთავითვე მორალური რისკის შემცირება დასახელდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ამცირებს, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოორიცხავს მორალური რისკის დონეს დაზღვევის ხელშეკრულებაში. დოქტრინა ეფექტურია მაღალი მორალური რისკის შემცველი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თვალსაზრისით, რითაც ის ერთგვარ დამცავ ფუნქციას ასრულებს (მესამე პირების უსაფრთხოებისა და 59

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის N ას-85-81-2013 განჩინება.

⁴⁴ *Garner*, (Editor), *Black's Law Dictionary*, 2004, p. 829.

⁴⁵ *Cannar*, *Essential Cases in Insurance Law*, 1985, 4.

⁴⁶ იქვე, 4-5.

⁴⁷ *Loshin*, *Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement*, *The Yale Law Journal*, December, 2007, 14.

საჯარო წესრიგის დაცვის თვალსაზრისით).⁴⁸ შესაბამისად, სადაზღვევო ინტერესი და მორალური რისკი არ წარმოადგენენ თანაბარი მნიშვნელობის ცნებებს. სადაზღვევო ინტერესი განიხილება როგორც მორალური რისკის შემცირების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება.⁴⁹

- 60 ტრადიციულად, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიზნებად განიხილება, ერთი მხრივ, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს შორის კეთილსინდისიერი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო წესრიგის დაცვა.
- 61 სადაზღვევო ინტერესის დოქტრინას უდავოდ გააჩნია მესამე პირების დაცვის მიზანი. მაგალითად, თუ ა-სა (მზღვეველს) და ბ-ს (დამზღვევეს) შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, დაზღვევის ობიექტად განისაზღვრა გ-ს სიცოცხლე ან ქონება, გ-ს დაცვის ინტერესი მოითხოვს, რომ ბ-ს გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი გ-ს მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბ-ს გაუჩნდება დაზღვევის ობიექტის განადგურების ხარჯზე მოგების მიღების განზრახვა.⁵⁰ ისტორიულად სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა მნიშვნელოვანი გახდა დაზღვევის ხელშეკრულების თამაშობისა და სანაძლეოს გარიგებებისგან გამიჯვნის თვალსაზრისითაც. თუ თამაშობა და სანაძლეო „დამზღვევის“ მიერ მოგების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს, დაზღვევის ხელშეკრულება სოციალურად სასარგებლო ფუნქციას ასრულებს: მისი მიზანია დამზღვევის მიერ არა მოგების მიღება, არამედ მოსალოდნელი ზიანისაგან დაცვა.⁵¹ უფრო მეტიც, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა უკრძალავს დამზღვევეს მოგების მიღებას, რადგან მაქსიმალურად შემცირდეს დამზღვევის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების, კერძოდ, დაზღვევის ობიექტისადმი ზიანის მიყენების ალბათობა.⁵²
- 62 მართალია, მზღვეველი მაქსიმალურად ცდილობს, დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმოს ისეთ კონტრაქტებთან, რომელთა მხრიდან სადაზღვევო ინტერესის ფლობაც დაზღვევის ობიექტისადმი არ არის სათუო. მაგრამ მიუხედავად ასეთი წინდახედულობისა, სადაზღვევო პრაქტიკაში ხშირია სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებული დავები.⁵³
- 63 სადაზღვევო ინტერესის საკითხის დაყენება აქტუალურია მაშინ, როდესაც აღმოჩნდება, რომ მზღვეველმა არ იცოდა სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შესახებ, ან როდესაც სადაზღვევო ინტერესი დაიკარგა ხელშეკრულების დადების შემდეგ. ასეთ დროს გადამწყვეტია სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა. სასამართლომ უნდა განმარტოს, რა წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისადმი კონკრეტული სამართალსუბიექტის ინტერესს.⁵⁴

⁴⁸ იქვე, 7.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე, 4.

⁵¹ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 275.

⁵² იქვე, 276.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე, 277

ბ. საკანონმდებლო მოწესრიგება

დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სამწუხაროდ, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინას არა აქვს სათანადო გამოხმაურება და გამოყენება ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სადაზღვევო ინტერესის მოწესრიგებას დაზღვევის მარეგულირებელი ნორმების ნაწილში. სკ-ს 815 II ახსენებს *დაზღვევის ინტერესს*, რაც მოცემულ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულებისადმი არსებულ ინტერესს გულისხმობს და არა დამზღვევის ინტერესს დაზღვეული ობიექტის მიმართ.

64

სადაზღვევო ინტერესის მოთხოვნას არც დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს ადეკვატურად. კანონის მე-10 III მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ ქონების დაზღვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო ინტერესის მოწესრიგებას. კანონი არ არეგულირებს დაზღვევის სხვა სახეების მიმართ სადაზღვევო ინტერესის მოთხოვნის გამოყენების საკითხებს. ამასთან, გაურკვეველია რა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს კანონმდებელი სადაზღვევო ინტერესის კანონისეულ რეგულირებას.

გ. შემადგენლობა

სადაზღვევო ინტერესის შინაარსის დადგენისას მოსამართლემ სწორად უნდა განსაზღვროს მისი შემადგენლობა. დაზღვევის დოქტრინა ამ თვალსაზრისით სამ განსხვავებულ მიდგომას იცნობს: სამართლებრივი მოლოდინის (ინტერესის), ფაქტობრივი (ეკონომიკური) მოლოდინისა და შერეულ ფორმას კუმულატიური შემადგენლობით.⁵⁵ სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობა დაზღვევის სახეების მიმართ განსხვავებულად განისაზღვრება. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, რომელშიც საკასაციო პალატამ მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების ფლობა სადაზღვევო ინტერესის არსებობის საფუძვლად მიიჩნია.⁵⁶ თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკასაციო პალატის არგუმენტაციაში გამოყენებულია ტერმინი ქონებრივი ინტერესი, მაშინ როდესაც იმავე საქმეზე სააპელაციო პალატა ტერმინ სადაზღვევო ინტერესს იყენებს. ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი სიციხადის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რომ ქონებრივი ინტერესი და სადაზღვევო ინტერესი იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენს. სადაზღვევო ინტერესი თავის თავში აერთიანებს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ინტერესს. მოყვანილი გადაწყვეტილებით საკასაციო პალატა სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობას სამართლებრივი ინტერესის სასარგებლოდ წყვეტს.

65

⁵⁵ 1805 წლიდან მოყოლებული, აქტუალურია სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობაში სამართლებრივი და ფაქტობრივი ინტერესების არსებობა. ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Lucena v. Craufurd* წარმოაჩენს საკითხის მიმართ მოსამართლეთა არაერთგვაროვან მიდგომებს. აშშ-ს სასამართლოებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციას ემხრობიან, მაგრამ საბოლოოდ, სადაზღვევო ინტერესის არსის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ საქმეზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და შეუძლებელი ხდება მისი განზოგადება. *Loshin, Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, The Yale Law Journal, December, 2007, 6.*

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ოქტომბრის N ას-733-1003-05 განჩინება.

დ. მზღვევის კეთილსინდისიერება

66 სადაზღვევო ინტერესის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას გასათვალისწინებელია მზღვევის კეთილსინდისიერების საკითხი. შესაძლებელია მზღვევლმა ხელშეკრულების დადების ეტაპზე იცოდეს სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შესახებ და/ან არასათანადოდ გააფრთხილოს დამზღვევი მისი მნიშვნელობის შესახებ, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე კი უარი უთხრას ზიანის ანაზღაურებაზე სადაზღვევო ინტერესის არარსებობის გამო.⁵⁷ სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა არ უნდა იქცეს მზღვევის ხელში უკანონო მოგების მიღების იარაღად. დოქტრინის ასეთი გამოყენება საფუძველშივე ეწინააღმდეგება მის იდეას საჯარო წესრიგისა და კეთილსინდისიერი სახელშეკრულებო ურთიერთობების დაცვის შესახებ.⁵⁸

ე. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი შედეგები

67 სადაზღვევო ინტერესის გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისათვის არსებითია დადგინდეს, რა დატვირთვას ანიჭება მას სამოქალაქო კოდექსი. ერთი მხრივ, სადაზღვევო ინტერესის არარსებობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი და გაერთიანდეს 54-ე მუხლის შინაარსში. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ისტორიული ანალიზი და თანამედროვე კონტექსტი, როგორც კონტრაქტებისას თაღლითობის პრევენციის ერთგვარი მექანიზმისა, იძლევა ასეთი ფორმულირების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს თავისუფლად ხელეწიფება მისი სათანადო განმარტება 54-ე მუხლისა და დაზღვევის ხელშეკრულების ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

68 მეორე მხრივ, სადაზღვევო ინტერესის არსებობა შეიძლება განხილულ იქნეს დამზღვევის მოთხოვნის უფლების წინაპირობად. ასეთი დასკვნა არაპირდაპირ გამომდინარეობს ცალკეული ქართული სასამართლო გადაწყვეტილებიდანაც.⁵⁹ ამ თვალსაზრისით, აუცილებელი ხდება სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ანაზღაურების პრინციპთან მიმართების გათვალისწინება. მათ შორის კავშირი ყველაზე ცხადად ქონების დაზღვევისას ჩანს: თუ დამზღვევს არ გააჩნია ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ, ითვლება, რომ ის არ განიცდის ზიანს. ხოლო თუ ზიანი არ არსებობს, როგორც ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა, არ არსებობს არც ანაზღაურების მოთხოვნა.⁶⁰ ასეთი მსჯელობით სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ცნების ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტის - ზიანის შემადგენელ ნაწილად განიხილება. სადაზღვევო ინტერესის არსებობის მომენტის განსაზღვრისას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ზიანის დადგომის ეტაპს მიენიჭება: რადგან თუ არ არსებობს სადაზღვევო ინტერესი, არც ზიანი არსებობს და არც მისი ანაზღაურების მოთხოვნა.⁶¹

⁵⁷ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 311.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ოქტომბრის N ას-733-1003-05 განჩინება.

⁶⁰ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, 2007, p. 278.

⁶¹ იქვე.

სადაზღვევო ინტერესის განმარტებისას უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ 69
სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, კერძოდ: „799-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მხარეები თანხმდებიან დაზღვევის ინტერესისა შესახებ.“ თუმცა, საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაში, არ აკონკრეტებს, რა მოიაზრება სადაზღვევო ინტერესის ქვეშ.⁶²

სადაზღვევო ინტერესის განმარტებისას, მოსამართლემ განსაკუთრებული 70
ყურადღება უნდა გაამახვილოს ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის პირობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მოსამართლე შეიძლება დაეყრდნოს როგორც ერთ, ისე მეორე დასკვნას. თუმცა, გასათვალისწინებელია განსხვავებული სამართლებრივი შედეგები. სადაზღვევო ინტერესის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობად განხილვისას საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს დამზღვევის მოთხოვნის ერთადერთ წინაპირობას. ამასთანავე, დამზღვევის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ავტომატურად მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას არ ნიშნავს. სადაზღვევო ინტერესის არარსებობის გამო ხელშეკრულების ბათილად ცნობა კი მხარეთა შორის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, პრობლემურია დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიების უკან დაბრუნების საკითხი.

გადახდილი პრემიების დაბრუნებასთან დაკავშირებული პოზიციები 71
არაერთგვაროვანია. უმეტეს შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის დაბრუნება არამიზანშეწონილად მიიჩნევა, რადგან მზღვეველის მიერ რისკის აღების მომენტიდან პრემია გამომუშავებულად ითვლება.⁶³ ასეთი პრაქტიკა თავისთავად შეიძლება ზრდიდეს მზღვეველის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელების მოტივაციას, რაც სადაზღვევო ინტერესის არარსებობის პირობებში ხელშეკრულების გაფორმებასა და უკანონო მოგების მიღებას გულისხმობს. ფაქტობრივად, ხელშეკრულების ბათილობა უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მზღვეველს, ვიდრე მისი შესრულება.⁶⁴ თუმცა, პრემიის დაბრუნება გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების ნამდვილობისადმი დამზღვევის კეთილსინდისიერი მოლოდინით.⁶⁵

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.

⁶³ ამ თვალსაზრისით აზრსმოკლებული არ უნდა იყოს შრომის ხელშეკრულებაში შრომის ანაზღაურების დაბრუნების მიმართ გამომთქული მოსაზრების გათვალისწინებაც. მზღვეველი ვერ დაბრუნებს მის მიერ გაწეულ მომსახურებას რისკის ტარების სახით, ისევე როგორც დასაქმებული - გაწეულ შრომას. შესაბამისად, არაგონივრულია სადაზღვევო პრემიის ან გადახდილი შრომის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება. იხ. შველიძე ზ. „საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები,“ შრომის სამართალი I (სტატიათა კრებული), 2011, გვ. 119.

⁶⁴ *Loshin*, Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, *The Yale Law Journal*, December, 2007, p. 8.

⁶⁵ *Keeton/Widiss*, Insurance Law: A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines, and Commercial Practices, West Group, 2003, p. 161.

72 ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, დოქტრინის ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო ინტერესის განმარტებისას მაქსიმალურად შეიზღუდოს მოსამართლის მხრიდან შეფასებითი კატეგორიების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩნდება დოქტრინის არაერთგვაროვანი სახით განვითარების საფრთხე, რაც არასრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგების პირობებში კიდევ უფრო ბუნდოვანს გახდის სადაზღვევო ინტერესის ინსტიტუტს.⁶⁶ საბოლოოდ, სადაზღვევო ინტერესის არსის განსაზღვრა ცალკეულ საქმეზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებასა და მათ დაზღვევის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზს მოითხოვს.⁶⁷

5. ევროპის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლის პრინციპების გამოყენება დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას

73 დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია ევროპის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლის პრინციპების გამოყენება. აღნიშნული პრინციპებით გათვალისწინებულია როგორც დამზღვევის, ისე მზღვეველის ინტერესები.⁶⁸

VI. დაზღვევის სახეები და ფორმები

74 განასხვავებენ დაზღვევის სახეებსა და ფორმებს. სადაზღვევო პრაქტიკაში დაზღვევის სახეებად კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმი გამოიყენება. მათ შორისაა კლასიფიკაცია მარკეტინგული ნიშნის, დაზღვეული ინტერესის, მზღვეველის ტიპის, სადისტრიბუციო არხისა და სხვა ნიშნების მიხედვით.⁶⁹ მათგან ყველაზე გავრცელებულია დაზღვევის კლასიფიკაცია დაზღვეული ობიექტის მიხედვით. სწორედ ასეთ კრიტერიუმს ითვალისწინებს დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი.

75 ფორმების მხრივ ერთმანეთს ემიჯნება ნებაყოფლობითი და სავალდებულო დაზღვევა, რომელთა შორის არსებული განსხვავებებიც კერძო და საჯარო სამართლებრივი მოწესრიგებით განისაზღვრება (იხ. 801-ე მუხლის კომენტ.).

VII. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები

76 დაზღვევის ხელშეკრულების საერთაშორისო კერძოსამართლებრივ კონტექსტში განხილვისას მნიშვნელოვანია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე IV მუხლით დადგენილი წესის გათვალისწინება. აღნიშნულ ნორმაში კანონმდებელი დაზღვევის ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნად განსაზღვრავს ადგილს, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი არსებობს.

⁶⁶ Loshin J., Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, The Yale Law Journal, December, 2007, 5.

⁶⁷ იქვე, 6.

⁶⁸ http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201004/20100430ATT73919/20100430ATT73919_EN.pdf

⁶⁹ Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, 2007, p. 57.